შინაური საქმეები

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 31.

ოთხშაბათი, ნოემბერი 3, 1910 წ.

ცალკე ნომერი ღირს 5 კაპიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: 1, სჯული ბუნებრივი და სჯული განცხადებული. ქრისტე და ბუდდა — სანჭანიანისა. 2, საჭიროა თუ არა კაცისთვის რელიგია? — მღ. იოან. ლუკიანოვისა 3, ყ-დ სამღვდელო ლეონიდეს მოგზაურობა გურიაში — № 4, სამეურნეო ცნობების გავრცელების საჭიროება ხალხში სამღვდელოების მიერ — მღ. სერგეი მაჭარაშვილისა. 5, წალმა-უკუღმა — კ. წუთისოფ ლელისა. 6, წერილი გრაფ. ლ. ნ. ტოლსტოისა. 7, ნარკვევი. 8, კვირიდან კვირობამდე.

მომავალ 1911 წლიდგან. სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივი გაზ.

„შინაური საქმეები“

გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირიკობისთვისა და მარიამობისთვისა, როცა გაზეთი სულ არ გამოვა.

გაზეთის წლიური ფასი ყველგან რუსეთში 3 მანეთი. ბ.ბ. ხელის მომწერლებს ვთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგვიგზავნონ

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო — ქაზაკოვის შესახვევში № 17) და თფილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში, სიმონიანცის შუშის მაღაზიაში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. და 50 კ.

გაზეთი ეუმუულობს დასაბეჭდად ... ყოველგვარ განცხადებებს.

სჯული ბუნებრივი და სჯული განცხადებული.

ქრისტე და ბუდდა.

(ბ. ივ. როსტომაშვილის წიგნაკის გამო).

ყოველ ზნეობრივ საქციელს ღრმა საფუძველი უდევს ადამიანის ბუნებაში. ადამიანს ყოველ განვითარების საფეხურზე თან სდევს ერთნაირი ალღო, რომლითაც იგი განარჩევს კეთილს ბოროტისაგან, ზნეობრივ საქციელს უზნეოსაგან. ასეთ ალღოს სამღთო წერილის ენაზე შინაგანი სჯული ჰქვია, მდაბიურათ კი სინიდისი. ადამიანმა რომ ამ ალღოს, ამ შინაგანი სჯულის ბრძანებას მისდიოს, შეგვიძლია დარწმუნებით ვსთქვათ, რომ არასოდეს არ შესცდება კეთილისა და ბოროტი საქმის განარჩევაში, შინაგანი სჯული ყოველთვის სისწორით უჩვენებს მას ღვთის სათნო ზნეობის გზას. ჯერ წერილობითი

სჯული არ იყო გადმოცემული ღვთისაგან, რომ ადამიანი შინაგანი სჯულის მეოხებით სცნობდა კეთილსა და ბოროტს. ჯერ კიდევ მაგალითი არ ენახა, მაგრამ ადამიანმა უკვე იცოდა, რომ კაცის კვლა ცოდვაა. მრუშება, ცილის წამება, სხვისი საკუთრების მითვისება—ყოველთვის ცუდ და შეუწყნარებელ საქციელად ირიცხებოდა. ამიტომაცაა, რომ ადამიანი ზოგიერთ თავის საქციელს ყოველთვის მალავდა და ფარულად მოქმედება, ხოლო სხვებს აშკარად და განცხადებულად. ასეთი ცოდვა-მადლის განრჩევა, ასეთი კეთილისა და ბოროტის გამოცნობა ერთი უმთავრესი თვისებათაგანია ადამიანისა და თუ ადამიანს რამე კეთილზნიანი შეუქმნია, მხოლოდ ამ შინაგანი სჯულის მეოხებით. და რადგან ეს შინაგანი სჯული ერთია ყველა კაცისათვის, ყველა ხალხისათვის, ამიტომ ხშირად ერთი ხალხის ზნეობრივი კანონები მეორისას წააგვანან, თუ სულ ისეთნივე არ არიან. თავისთავად ცხადია და აქ არაფერი გასაკვირვალი არ არის, რომ, რადგან შინაგანი კანონი, შინაგანი სჯული ერთი და იგივეა ყველა ადამიანში, მისი შედეგებიც ერთი და იგივე უნდა იყვნენ, და თუ ნამდვილად ხშირად ერთი და იგივე არ არიან, ეს იმის ბრალია, რომ ყველა ერთნაირ ყურადღებას არ აქცევს ამ შინაგან სჯულსა, ბევრი სარგებლობით, გამორჩენის სურვილით ხელმძღვანელობს და არა შინაგანი სჯულის უანგარო მოთხოვნილებით. ეს შინაგანი სჯული გარეგან მიწეპებული არა აქვს ადამიანის ბუნებას, ეს არ არის შემდეგ შენაძენი ქონება ადამიანის გონებისა, იგი თვით მის ბუნებასთან არის დაბადებული და მისი წყალობაა, ვინც ეს ბუნება შექმნა, ვინც ადამიანი ადამიანად გააჩინა. ამიტომაა, რომ გარეგანი სჯული, რომელიც მოცემული გვაქვს ჩვენ ძველისა და ახალი აღთქმის მცნებებში, არ ეწინააღმდეგებიან შინაგან სჯულის კანონებს, წინააღმდეგ იგინი სრული თანახმანი არიან ურთი-ერთისა, რასაც ამართლებს ერთი, მასვე ამართლებს მეორეც და რასაც უარჰყოფს ერთი, მასვე უარყოფს მეორეცა.

ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, თუ ზოგიერთი ზნეობრივი კანონები, შექმნილი რომელიმე სჯულმდებლისაგან, ეთანხმებიან იმ ზნეობრივ კანონებს, რომლებიც გადმოცემულია საღვთო განცხადებაში, არ უნდა გვიკვირდეს თუ ზოგიერთ ქრისტეს მცნების მსგავს მცნებებს ჩვენ ვპოებთ სხვა სარწმუნოების ხალხთა შორისაც. „სული ბუნებით ქრისტიანია“-ო, სთქვა ერთმა ცნობილმა ეკლესიის მამამ, და თუ ეს ასეა, თქმა არ უნდა, ზოგიერთ შემთხვევაში ეს ქრისტიანი სული ქრისტიანულ ზნეობრივ კანონებსაც შექმნის.

მაგრამ, როგორიც უნდა იყონ ადამიანის სინიდისის შექმნილი ზნეობრივი კანონები, იგინი მაინც ნაკლულევანნი არიან, მოკლებულნი არიან იმ სისრულეს, რომლითაც განირჩევიან საღვთო განცხადებით გადმოცემულნი ზნეობრივი კანონები. ეს თავისთავად ცხადია ყველასათვის და არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებს.

ქრისტიანული მორალი, როგორც ზეგანცხადებული სწორეთ ასეთი სისრულით განირჩევა და მისი შედარება სხვა სარწმუნოების მორალთან მისი დამცირებაა და შეურაცხება.

გასაკვირვალია, რომ ასეთ ღვთაებრივ სისრულეს ქრისტიანული მორალისას ვერ ამჩნევენ მრავალნი ბრძენნი ამა სოფლისანი, იგინი ჰგონებენ, რომ ქრისტიანული მორალი, მოტანილი ქრისტეს მიერ, გადმოღებულია, ძველი ხალხების მორალიდან. ამასწინათ დელიჩმა ქვეყანას ყურები გამოუქედა, მოსეს სჯულის კანონები დიდი ხნის წინეთ ცნობილი იყვნენ მეფეამურაბის კანონებშიო. გომართელმაც ეს უკანასკნელი სიტყვა(?) მეცნიერებისა აუწყა ქართველობას.[1]).

[1]) იხ. „შინ. საქ.“ № 7 და ქვ. 1908 წ.

ასეთ მდგომარეობასვე განიცდის მაცხოვრის ზნეობრივი სწავლაც ზოგიერთ მეცნიერების ხელში. იესო ქრისტეს და მის ზნეობრივ მოძღვრებას ხან სოკრატს ადარებენ, ხან ბუდდას და ხან კიდევ, ღმერთმა იცის, ვის, და ყოველთვის ამ სხვებს წინ აყენებენ ქრისტეზე ან, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც ამბობენ, რომ ქრისტემ მათგან მოისესხა თავის ზნეობრივი სწავლაო.

ამ უკანასკნელ ხანებში ქრისტეს უფრო ბუდდასთან დაუწყეს შედარება და პირველის ზნეობრივი სწავლა მეორის ასეთისავე სწავლის შედეგად აღიარეს. არიან ისეთი გაბედული წინასწარმეტყველებიც. რომლებიც ბუდდას სჯულს მსოფლიო მნიშვნელობას აწერენ და მომავალ კაცობრიობის სჯულად აღიარებენ.

ამ მიზნით ზოგიერთმა კაცობრიობის მეგობრება ხელი მიჰყვეს ბუდდას ცხოვრებისა და ზნეობრივ სწავლის მდაბიურად გადმოცემას, რათა მოუპოვონ მას თაყვანის მცემელნი ფართო საზოგადოებაში. თუ არ ვსცდებით, ამ მიზნით უნდა იყოს გამოცემული ბ. ივ. როსტომაშვილის მიერ შედგენილი წიგნაკი „ბუდდა და მისი სწავლა ცხოვრება—სიცოცხლეზედა“. რომ ამ წიგნაკს ასეთი მიზანი აქვს ამაში იქიდგანაც ვრწმუნდებით, რომ მას თავში ასეთი წარწერები უძღვის: „იაფ ფასიანი სახალხო და საყმაწვილო ბიბლიოთეკა № 1,“ „ბუნებრივი რჯული“ და კიდევ შემდეგი დიდმნიშვნელოვანი ეპიგრაფი: „ბევრი ბრძენი და მოაზრე მოჰვლენია კაცობრიობას თვისს ხანგრძლივ ცხოვრებაში, **მაგრამ განათლებული ბუდდა უდიდესია**“.

უსუსური თავმომწონე მკითხველი, თქმა არ უნდა, ამ ეპიგრაფს ობოლ მარგალიტად მიიღებს, ბუდდას უდიდეს ბრძნათ აღიარებს და მაშასადამე მის ნაქადაგებ „ბუნებრივ სჯულს“—ზნეობრივ სწავლას ეჭვ-დაუდებელ ჭეშმარიტებად და ესაა ხომ პირდაპირი განძრახვაც წიგნაკისა.

ამიტომ მეტათ არ მიგვაჩნია შევადაროთ ბუდდასა და ქრისტეს ზნეობრივი სწავლა (თუმცა ასეთი შედარება შეგინებაა ქრისტეს ზნეობრივ მოძღვრებისა) და ვაჩვენოთ არარაობა პირველისა მეორესთან შედარებით.

არის ართი რამ იესო ქრისტეს მოძღვრებაში, რაც არ მოსწონს, რაც ვერ მოუნელებია, ეგრეთ წოდებულ, ათეისტურ მიმართულების მექონ ხალხს. საქმე იმაშია, რომ ქრისტე ყოველივეს აფუძნებს ღმერთზე, მისი ნამცნები ზნეობრივი კანონების მყარ საფუძვლად აღიარებულია ღმერთი, უმისოთ არ არსებობს არივითარი მორალი; მორალი უმაღლესი არსების ნების მოთხოვნილებაა; სიწმიდის იდეალი ღმერთია და ადამიანი მაცხოვრის მოძღვრებით ვალდებულია დაემსგავსოს მას: „იყვნენით წმიდა ვითარცა წმიდა არს მამა თქვენი ზეცათა“. ყოველი სიწმიდე, ყოველი ზნეობრივი მოვლენა ადამიანში, ქრისტეს მოძღვრებით, თავის აზრს და განმართლებას ჰპოებს ღმერთში და საიქიო ცხოვრებაში; კეთილი საქმე არა თავისთავადაა საჭირო, იგი მიზანი კი არ არის, არამედ მიზნის მისაღწევი საშუალებაა. თვით მიზანი კი ღვთის ნების აღსრულებაში, ღვთის სათნო-ყოფაში და სასუფევლის დამკვიდრებაში მდგომარეობს.

შინაგან სჯულთან ერთად ადამიანის ბუნებას თანშობილი აქვს იდეა უმაღლეს კანონმდებელზე, ღმერთზე, რომლის ნებასაც უნდა ასრულებდეს ადამიანი თავის სიცოცხლეში. ამიტომ რამდენად ეს იდეა ღვთისა, ეს წარმოდგენა ღმერთზე უფრო ფაქიზი, უფრო წმიდა და სპეტაკია, იმდენათ ადამიანის მორალიც წმიდა და სპეტაკია და წინააღმდეგ. სწორეთ აქიდგან აიხსნება ის გარემოება, რომ ძველი კაცობრიობა ყოველ ღმერთს შესაფერი ზნეობრივი მოქმედებით მსახურებდა, მაგ. მარსს (ღმერთი ომიანობისა)—ომიანობით,-ვაკხს (ღმერთი ღვინისა და ლოთობისა)—

ლოთობითა და ღვინის სმით, ვენერას (ღმერთი მშვენიერებისა და ხორციელი სიყვარულისა) —გარყვნილებით და სხ. თუ ასეთი წარმოდგენა არა, ადამიანი ვერაფრით გაამართლებს თავის ზნეობრივ საქციელს, რადგან გარეშე ბუნებაში ვერ ჰპოებს ვერავითარ საბუთს ამ განმართლებისათვის. გარეგან ბუნებაში გამეფებულია ბრძოლა არსებობისათვის, აქ ყოველ მოქმედებას სარჩულად პირადი სარგებლობა უდევს და არა თავ-განწირულება, რასაც მოითხოვს უმაღლესი ზნეობრივი იდეალი, იდეალი ღვთის არსებობაზე დამყარებული და აღმოცენებული.

აი სწორეთ ეს ღვთის არსებობაა, ეს ღმერთზე დამყარებული ზნეობრივი სწავლაა, რომ აბრთხობს და აშინებს ღვთის შიშიანობით დაავადებელ ადამიანებს. **საიქიო ცხოვრებაა ის კაჟი**[1]), **რომელსაც** ვერ ინელებს ასეთი ადამიანის ტვინი. ასეთი ადამიანი ამ ქვეყნიერათ ეძებს კმაყოფილებას და ამიტომ წყალწაღებულივით ყოველ ხავსს ეკიდება, იქნებ თავი შევიმაგრო ცხოვრების აბობოქრებულ მდინარეშიო. ქრისტე კი ქვეყნიურ ცხოვრებას უყურებს, როგორც მოსამზადებელ განყოფილებას, რომელშიდაც ადამიანი ემზადება მომავალი ცხოვრებისათვის. ქრისტეს მოძღვრებით ქვეყნიური ცხოვრება თვით კი არ არის მიზანი, არამედ მიზნის მისაღწევი საშუალებაა აი აქ უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ ბუდდას უღვთო მოძღვრებამ „ბუნებრივი სჯულის“ სახელი მოიხვეჭა და მიიზიდა ერთგვარი ჯურის ადამიანები, რომელთაც არ უნდათ იყოს ღმერთი, უკვდავება და საიქიო ცხოვრება თავის წაწყმედა-ცხონებით.

[1]) ტალი.

სანმანიანი.

(შემდგომი იქნება).

საჭიროა, თუ არა კაცისათვის რელიგია?

გაგრძელება[1]).

რელიგია საჭიროა კაცისათვის, იმიტომ რომ იგი აკეთილოვანებს მას და ასწავებს მის დანიშნულებას.

პირუტყვი მოკლებულია გაუმჯობესების ნიჭს. დამორჩილებულია-რა უძრავ ინსტინქტს, იგი სდგას განვითარების იმავე წერტილზე, რომელზედაც დაყენებული იყო იგი პირველგაჩენის დროს. მაიმუნი არ წასულა ცივილიზაციაში იმაზე წინ, რომელშიაც იდგა იგი მეროვინგების დროს; ფუტკარი თავის სკაში ისეთივეა ეხლაც, როგორიც იყო იგი ვირგილიოსის დროს, რომელიც ქებას ასხამდა მას მისი შრომის მოყვარეობისა და დაუღალობისათვის. მართლაც და აბა რანაირათ წავიდოდა წინ, როგორ გაუმჯობესდებოდა პირუტყვი, როდესაც იმას არა აქვს იდეალი, და როდესაც იმას არა აქვს შემეცნება დაუსრულებელობაზე? ამნაირათ, იგი სცხოვრობს მოსვენებით და უზრუნველად, რადგანაც, საზოგადოდ, უკმაყოფილება არის შედეგი უკეთესის წყურვილისა, ბედნიერებისაკენ მისწრაფებისა.

ადამიანს-კი, როგორც გონიერ და თავისუფალ არსებას, მიცემული აქვს სურვილი დაუსრულებელობაში ჩაიხედოს, მას აქვს იდეალი; იგი თავის თავს ყოველ წუთს გრძნობს არა სრულად; ის მიისწრაფვის შენიშნოს სრული სახე, რომელიც მას შორს ეჩვენება. რაც უფრო მომეტებულად დაჯილდოვებულია კაცი ბუნებით გონებითა და გულით, მით უფრო მიაჩნია მას საჭიროდ თავისი გაუმჯობესება, მით უფრო მიისწრაფვის უკეთესისაკენ, დაუსრულებელისაკენ, ღვთაებისაკენ. რელიგია აკმაყოფილებს ამ ჩვენს ბუნებრივ მოთხოვნილებას თვით გაუმჯობესების და პროგრესისაკენ მისწრაფების შესახებ. ჩვენს გონებაში, მაგალითად, რელიგია აფართოვებს შეგნებას დროებაზე და გვაძლევს ჩვენ რამოდენადმე წარმოდგენას მარადისობაზე; აფართოვებს აგრეთვე შემეცნებას მანძილზე და გვაძლევს ჩვენ წარმოდგენას დაუსრულებლობაზე. რელიგია ამოძრავებს კაცის გონებას და აიძულებს მას ღრმა გამოკვლევისათვის. აი რა-

[1]) იხ. „შინ საქ.“ № 30.

ტომ არის, რომ დიდი გენიოსები კაცობრიობაში იყვნენ **მორწმუნენი**; ამას მოწმობენ სახელები წმ. ვასილი დიდისა, ნეტარი ავგუსტინესი, წმ. გრიგორი ნისელისა. ათეიზმს, პირიქით, არავითარი დიდი ნაწარმოები არ მოუცია ფილოსოფიისა და ხელოვნების მეცნიერებაში.

ᲬᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ მხოლოდ რელიგია ანვითარებს და აკეთილოვანებს კაცს. იგი გვაძლევს ჩვენ იდეალს სიკეთისას, იდეალს მოვალეობისას, იდეალს შეურყეველს და უცვალებელს; — სხვა სიტყვით, ეს იდეალი არის თვით ღმერთი.

„იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“ (მათ. 5, 48). ამ დაუსრულებელი იდეალის მისწრაფებაში, ბევრნი გვიჩვენებენ ჩვენ საგმირო მაგალითებს წმიდა ცხოვრებისას. იგინი ამაღლებდენ საზოგადოებრივ ᲬᲜᲝᲑᲐᲡ; სარწმუნოების მტრებს სირცხვილს აგრძნობინებდენ მათის ბიწიერებისათვის. მაგრამ სადა ჰყავს ათეიზმს მისი წმინდანები? რომელი კეთილი საქმე აღმოცენდა ურწმუნოების ნიადაგზე? რა შეუძლიან მოგვცეს ᲬᲜᲝᲑᲠᲘᲕ კანონს, თუ მას კანონისმდებელი არა ჰყავს, და არავისგან დაკანონებული არ არის? ეს კანონი არ არის; თუ ღმერთი არ არის, აღარც ᲬᲜᲝᲑᲐ შეიძლება იყვეს. მართალია, ათეისტებს, საზოგადოების აზრის დასამშვიდებლად, შეუძლიანთ რაიმე ბუნებრივი კეთილი საქმეები იქონიონ; მაგრამ ეს მხოლოდ ფარისევლური პირმოთნეობა იქნება. ამ ხილული საქმეებით ათეისტები ჰფარავენ თავიანთ იდუმალ ბიწიერებას. ათეისტებზე შეიძლება ითქვას სიტყვები ერთის შესანიშნავის კაცისა: „რომ ვინმეს ნება მის. ცენ ორში ერთი ამოირჩიოს: თავის ცხოვრება გაამხილოს დაწვრილებით, ან დამალოს მისი გარემოებანი, ათეისტი, უეჭველია, ამოირჩევდა მეორე პირობას, მინამ პირველს“. მხოლოდ ერთ რიგს ხალხისას არ შეეშინდება, რომ მისი ცხოვრება გამომჟღავნდეს საქვეყნოდ, — ეს არიან წმიდანები, რომელთა ცხოვრებაც წარმოადგენს მიბაძვას ქრისტესას, რომელიც უმაღლესი იდეალია სისრულისა.

ადამიანი ბუნებით რელიგიოზურია უკვე იმიტომ, რომ მას თავის გაკეთილოვანება შეუძლიან. კაცი არის არსება რელიგიოზური და შუდამ პროგრესსიული იმიტომ, რომ იგი სცნობს ღმერთსა, ხდის ფარდას დაუსრულებელს და უნდა მისწვდეს მას. ამიტომ ერთი ჩვენ დროის ფრიად ნასწავლი ბუნების გამომეძიებელი ამბობს, რომ რელიგიოზობა არის უმთავრესი ნიშანი, რომლითაც კაცობრიობა განსხვავდება ცხოველებისაგან. აქედგან, კაცი არასოდეს არ არის ისეთი დიდი, როგორც მაშინ, როდესაც იგი დაჩოქილი ღმერთს თაყვანსა სცემს. აი სწორეთ ამ წუთს იგი ადის იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ვერასოდეს ვერ ავა ვერავითარი ცხოველი, და ამ სიმაღლეზე იგი ხდება მეფედ გარშემორტყმული ბუნებისა. აი რატომ არის, რომ ჩვენ ყოველთვის გვესიამოვნება დანახვა ლოკვაზე მდგომი კაცისა, და აი რატომ ახდენს ჩვენზე ცუდ შთაბეჭდილებას, გარეგნულად თუნდაც ლამაზი, კაცი, თუ იგი ქარაფშუტად ან მასხარაობით ლაპარაკობს ღმერთზე, რელიგიაზე.“

რელიგია საჭიროა კაცისათვის, რადგანაც მხოლოდ იმას მიჰყავს იგი ბედნიერებისაკენ.

ჩვენ ყველას გვაქვს ძლიერი ნდომა ბედნიერებისა; ეს კანონია ჩვენი ბუნებისა. ყოველი პროგრესი მეცნიერებისა და ხელოვნების სფერაში არის მისწრაფება კაცისა ბედნიერებისაკენ. მაგრამ ბედნიერების მისაღებად საჭიროა შევასრულოთ ის პირობები, რომლებშიაც იგი შესაძლებელია; საჭიროა, რომ ჩვენს გონებას, რომელიც იტანჯება ცოდნის წყურვილით, ჰქონდეს სახეში თავის წინ ჭეშმარიტება, რომლისკენაც მიისწრაფვის; საჭიროა, რომ ჩვენს ნებას, რომელსაც სწყურიან სიყვარული, ქონდეს თავის წინ ისეთი სიკეთე, რომ შეეძლოს მისი დაკმაყოფილება.

ურელიგიოთ კაცი იქნებოდა უმიზნო არსება, რადგანაც მის მისწრაფებას და ნიჭს არ ექნებოდა შესაფერი დაკმაყოფილება. და რადგანაც მისი ცხოვრება უმიზნო იქნებოდა, მაშ აღარც იმის გონებას და აღარც გულს არ ექნებოდა თანასწორობა ძალისა.

ურელიგიოთ, უღმერთოთ რასა გრძნობს კაცი, გარდა მწუხარებისა ურწმუნოებისაგან? რა იცის იმან კაცის დანიშნულების დიდ კითხვაზე? — საიდგან მოვიდა ის (კაცი), სად მიდის, როგორი იქნება ბოლო მისი არსებობისაა არსებობს, თუ არა, ღმერთი, ან როგორი, მისი თვისებანი? — აი კითხვები, რომლებიც მას აწუხებენ, და რომლებზედაც იგი პასუხს ვერ მისცემს. ჩვენი დროის ათეისტი ეუფრუა აღშფოთებული მოგვითხრობს იმ ტანჯვა-წვალებაზე, რომელიც იმან გამოსცადა, როდესაც იქვნეულობამ შეარყია მისი რელიგიოზური

რწმენა, გაჰფანტა მისი ოჯახური ტრადიციები, ბავშობის მოგონებანი. „მე მეჩვენა, ამბობს იგი, რომ ჩემი წინანდელი ცხოვრება, ასეთი ბედნიერი და სასიხარულო, გაჰქრა, უკან დარჩა, და წინ გამოსჩნდა სულ სხვა ცხოვრება, ბნელი, უბედური, რომელმაც ისე მომაბეზრა თავი, რომ ჩემ სიცოცხლეს ვწყევლიდი. ჩემ სულს ვერ შეეძლო ამ მდგომარეობის მიჩვევა; იგი, როგორც ხომალდი ტალღების წინააღმდეგ მიმავალი, მიისწრაფოდა დაბრუნებას დაკარგული ნაპირისკენ“. ურწმუნო კაცი ტყუილად ეძებს ბედნიერებას. იგი უმწეოდ სდგას საშინელი უფსკრულის წინ; და მის თვალწინ იშლება არეულ-დარეულობა, სიცალიერე. რაც-უნდა ამა ქვეყნიური სიკეთეებით იყვეს აღსავსე ურწმუნო კაცის ცხოვრება, მაინც ეს ვერ აგრძნობინებს თავს ბედნიერად. პირიქით, რაც მომეტებულ ქვეყნიურ სიკეთეს აგროვებს კაცი, მით მომეტებულად სწვალობს და მობეზრებული აქვს მას ცხოვრება. „მე ვიყავ ყველაფერი,—ამბობს იმპერატორი სეფერი,—სალდათობიდგან მე მივაღწიე მეფობის ტახტს; მე ყველაფერი მქონდა, მაგრამ დავინახე, რომ ეს ყოველივე არაფერია“. პლატონი თავის წერილში მეგობრობის შესახებ ამტკიცებს, რომ ჩვენი სული, რომელსაც ყველა ქვეყნიური სიკეთე გამოუცდია, რწმუნდება, რომ ამ სიკეთეებს არ შეუძლიანთ მისი დაკმაყოფილება, და ამიტომ, იგი მიისწრაფის გაუთავებელი სიკეთისაკენ; მხოლოდ აი ამ სიკეთეს, საუკუნო სიკეთეს, შეუძლიან მისცეს კაცის სულს ნეტარება.

ამნაირათ, ქვეყნიურ სიკეთეებს არ შეუძლიანთ კაცის გულის დაკმაყოფილება. რაც უფრო მაღალია გონება, რაც უფრო გრძნობიერია გული, მით უფრო მომეტებულად ღრმაა და დაუცხრომელია მწუხარება, მობეზრება ცხოვრებისა.

სულ სხვა არის მორწმუნე ადამიანის მდგომარეობა. ეს მდგომარეობა გვაძლევს ჩვენ ისეთ წარმოდგენას ბედნიერებაზე, რომელიც შეიძლება ითქვას, წარმოადგენს დასაწყისს საიქიო ნეტარებისა. მორწმუნე ადამიანის სულში მშვიდობა და მყუდროებაა გამეფებული; იგი დამშვიდებულია წარსულისათვის, რადგანაც იცის მისი დასაბამი; დამშვიდებულია აწმყოსათვის, რადგანაც ნათლად ხედავს გზას, რომელზედაც უნდა გაიაროს; დამშვიდებულია მომავლისათვის, რადგანაც უცქერის სიკვდილს იმ რწმენით, რომ საიქიო ქვეყანაში გადასვლა იქნება მისთვის გაუთავებელი ნეტარება ღვთის შვილისა. მორწმუნე კაცი, მშვიდობიანის გულით, პირზე ღიმილით, იტანს თავის ცხოვრების ყოველივე დაუდგრომელობას. თუ ის განიცდის უბედურებას, თუ ის გრძნობს თავს უსამართლოების მსხვერპლად,—ეს იმას ცოტათი ადარდებს: იმან იცის, რომ ღმერთი ჩაუთვლის ყოველივე მის გარჯილობას, იცის რომ პირველად საჭიროა ბრძოლა, მინამ დაიმსახურებდეს გამარჯვების გვირგვინს. თუ სიკვდილი ართმევს მას საყვარელ არსებას, მაშინ იგი აპყრობს თვალს ზეცისაკენ, სულით მაღლდება ამ ქვეყნიდგან, და სწყურიან ის დრო, როდესაც ის ხელმეორედ შეხვდება ძვირფას არსებას სინათლისა და სიყვარულის საყოფელში. ამიტომ სამართლიანია სიტყვები: ცხოვრება ნამდვილად-მორწმუნე კაცისა არის სამარადისო დღესასწაული.

მღვდ. იოანნე ლუკიანოვი.

(შემდეგი იქნება).

ᲥᲓ ᲡᲐᲛᲚᲕᲓᲔᲚᲝ ᲚᲔᲝᲜᲘᲓᲔᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲒᲑᲐ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ.

(დასასრული[1]).

ფამფარეთის და ვაკიჯვრის ეკლესიები ყველაფრით უვარგისები არიან და მათში მღვდელმოქმედებათა შესრულება შეუსაბამოა ქრისტიანობის ღირსებისათვის. ერთიც და მეორეც საჭიროებს შეკეთებას და შეკეთებამდე მისმა მეუფემ აღკრძალა წირვა-ლოცვა.

თექვსმეტ მარტს მისი მეუფება მიბრძანდა ბაღდადში, ზემო და ქვემო უჩხობში, გონების კარში და გომში.

ყველგან უფერული, ღარიბი და მოუწყობელი ეკლესიები შეხვდა.

ეპისკოპოსი ყველგან დალაგებით და მარტივად უჩვენებდა ხალხს ეკლესიის ნაკლულევანებას, უხსნიდა ღვთის სახლის მშვენების მნიშვნელობას და ავალებდა ყველას თავის სალოცავის ერთგულებას.

ამ დღეს მეტი ნაწილი მღვდელმთავარმა

[1]) იხ. შინ. საქ. № 30.

მოანდომა სამრევლო სკოლების დათვალიერებას. მართალია, ეს სკოლებიც,—ორი უჩხობის და ერთი გონების კარისა,—არ ბრწყინავდნენ შენობებით და არც საგნების ცოდნით, მაგრამ მაინც გვარიან შთაბეჭდილებას ახდენდნენ მნახველზე იმითი, რომ ბავშვებს საკმაოდ შეეთვისებინათ წირვის გალობა.

ხსენებულ და კიდევ რამდენიმე სხვა სკოლებში გალობის მასწავლებლათ არის ვინმე ბარნაბა სიმონიშვილი. ამ სიმონიშვილს არავითარი სასწავლებელი არ გაუთავებია, მაგრამ გალობის სიყვარული ჰქონია, მიუმართავს ნაკაშიძისა, კონტრიძისა, მოლარიშვილებისათვის და იმდენათ შეუთვისებია წირვის და მწუხრის გალობა, რომ ეხლა სხვებსაც მარჯვეთ ასწავლის, და ასეთი პატიოსანი შრომით ლუკმა პურსა შოულობს.

მეტად საყურადღებოა და ხალხისათვის დიდად სასარგებლოა გონების-კარის ხელთსაქმის სასწავლებელი.

ქუთაისის გუბერნიაში მარტო ხონშია ამ შკოლის მსგავსი დარაიების საქსოვი სახელოსნო, მაგრამ გონების კარის სასწავლებელი ყველაფრით მაღლა სდგას ხონისაზე. გონების კარის სახელოსნოში აბრეშუმის პარკს იღებენ შულოებად, შულოებს ძაფათ ართავენ ჰგრეხენ და ხვეწენ, მერე ქსოვენ ფერად და თეთრ დარაიებს, აქვე ქსოვენ ტილოებს, ჩითებს და შალებს. ყველაფერ ამას აკეთებენ სულ უბრალო, მომეტებულ ნაწილად ხის მანქანებით, რომლებსაც ამზადებს თვით ამ შკოლის მასწავლებელი.

ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს იმდენად მოსწონებია ეს სახელოსნო, რომ დახმარებას დაჰპირებია და მართლაც მარტში მიიღო კიდეც ბ. მზრუნველისაგან სახელოსნოს გამგემ მ. ანდღულაძემ რვაასი მანათი საჭირო ხელსაწყოების შესაძენათ.

ასეთი შკოლები რომ ბევრი იყოს ჩვენში, დღევანდელი საბრალისი სოფელი სულ ჩქარა იცვლიდა საუკეთესოდ ფერსა და ხალხიც მალე გაიმართებოდა წელში.

ჩვიდმეტ მარტს ყ-დ სამღვდელომ შემოქმედის საზოგადოების ეკლესიების დათვალიერებით მოათავა ბახვის საბლაღოჩინო ოლქი. ხსენებულ საზოგადოებაში სამი სამრევლო ეკლესიაა: შემოქმედისა, ჯვარისა და წითელ-მთისა. ერთი მათგანი, სახელდობრ ჯვარი, სულ არაფერს არ წააგავს და არც საჭირო ყოფილა აქ ეკლესია, რადგანაც ხსენებული ეკლესიის დღევანდელ მრევლს ზედ აკრავენ წითელ მთის და შემოქმედის ეკლესიები.

დიდი მადლობა უბრძანა ყ-დ სამღვდელომ შემოქმედის ეკლმსიის წინამძღვარს დეკანოზს მ. ანტონ გალოგრეს ეკლესიაში იდიალური სისუფთავის და მხურვალე მზრუნველობისათვის.

ეტყობა, რომ პატიოსანი მოძღვარი მთელი თავისი არსებით მისცემია ეკლესიას და ხალხიც გრძნობს ამას, ხალხიც უფასებს მას ეკლესიის ერთგულებას და პატივის ცემით ეგებება ყველა მის დავალებას.

სასიამოვნოა აგრეთვე, რომ შემოქმედის მონასტერსაც ამ ბოლო დროს გასჩენია შეგნებული და გულშემატკივარი წინამძღვარი, არხიმანდრიტი გერასიმე. მამა გერასიმეს, კეთილი ხალხის დახმარებით, ბევრი უშრომია: ძველი ტაძრის კედლები გარედამ მთლად გაუახლებია, ეკლესია საუცხოოთ გადუხურავს, შიგნით ყველა ნივთი თავის ალაგასაა, ყველაფერი დაკრიალებულია და ყველგან სამაგალითო სისუფთავეა.

თვრამეტ მარტს ყ-დ სამღვდელომ ინახულა ახალსოფლის ეკლესია და მშვიდობით დაბრუნდა საკათედრო ქალაქ ფოთში..

მის მეუფებას მგზავრობაში ახლდა საეპარქიო კანცელარიის მდივანი ბ. გ. მარგალიტაძე. ბატონი მდივანი სჩხრეკდა ეკლესიის შესავალ-გასავლის წიგნებსა, მეტრიკებს, აღსარების მთქმელთა სიებს და ანგარიშს უშვრებოდა წმიდა სანთლის წარმოებას. ყველა ამაებისთვის კარგახანია აღარც მღვდელ-მთავრებს და არც ბლაღოჩინებს აღარ ყურადღება, მიუქცევიათ. ხალხის მოძრაობის დროს ხომ ბევრგან თვით მღვდლებმაც ხელი აიღეს მათზედ.

უვარგისად ნაწარმოები დოკუმენტებისა და დაბნეული ანგარიშების შესწორებამ დიდი შრომა და მოთმინება მოსთხოვეს ბ. მდივანს, მაგრამ სამაგიეროთ გვარიანი საქმეც გარიგდა.

ეკლესიის კრებულმა გაიგო, რომ მიუცილებელად საჭიროა საეკლესიო დოკუმენტების წესიერად წარმოება და, იმედია, დღეის იქით ამ საქმეში ჩვენი სამღვდელოება უკუაგდებს ძველ დაუდევრობას და ხალისით დაადგება ნაჩვენებ ახალ გზას.

ვანო.

სამეურნეო ცნობების გავრცელების საჭიროება ხალხში სამღდელოების მიერ.

ჩვენი ხალხის უმთავრესს საქმეს მეურნეობა შეადგენს, მაგრამ ცხადია რომ უცოდინარობისა გამო, მას ეს საქმე წესიერად და სასურველად ვერა აქვს დაყენებული, რის გამო იგი ეკონომიურად დიდად დაქვეითებული და დაღარიბებულია, ამ გარემოებას კი ცუდი გავლენა აქვს, რასაკვირველია, სხვათა, შორის, მის სულიერ და ზნეობრივ მდგომარეობაზედაც. ამისათვის ვიდრემდის ხალხი სწავლასა და ცოდნას შეიძენდეს და თავის მდგომარეობას წინ წასწევდეს, ეჭვს გარეშეა, რომ გავრცელება მის შორის ყოველგვარი სასარგებლო სამეურნეო ცნობებისა საღმრთო მოვალეობაა თვითოეულ მასთან დაახლოვებულ განათლებული პირისა, უწინარეს ყოვლისა კი ეს არის მოვალეობა სოფლის მღვდლებისა. მაგრამ, ვინაიდგან ხსენებულ საგანს საერთოდ მცირე ყურადღება აქვს მიქცეული სამღვდელოების მიერ, ამისათვის საჭიროა ამ საგნის შესახებ რამოდენიმე აზრი გამოვსთქვათ.

მიწის მუშა ხალხი საღმრთო მოვალეობის შემასრულებელია, იგი თავისი წმიდა და წრფელი შრომით გვარჩენს ჩვენ, ირჩენს თავის თავს და აკმაყოფილებს სხვა და სხვა მოთხოვნილებებს და რომელიც ამ კეთილ საქმეში სასარგებლო რჩევა—დარიგებით დაეხმარება მას, განსაკუთრებით კი მოძღვარი, რასაკვირველია, იგი დიდს მადლს მოიპოვებს ღვთისაგან და ხალხშიაც დიდს პატივსა და ნდობას დაიმსახურებს. მაგალითები გვიჩვენებს, რომ ხალხს მით უმეტეს უყვარს თვისი მოძღვარი, რამდენად იგი თვითონაც მშრომელია და მასთანაც დაახლოვებულია, რამდენად იგი მას შინაურს საქმეებში კეთილად ეხმარება. ცუდი გავლენა აქვს, როგორც ზევით ვთქვით, სიღარიბესა და გაჭირვებასა ადამიანის სულიერსა და ზნეობრივს მდგომარეობაზედ; სწორედ რომ უმეტეს შემთხვევაში სიღარიბე აბედვინებს ადამიანს წინააღმდეგობის და სხვა ცუდი აქმეების ჩადენას; საპყრობილეებში რომ ვიკითხოთ, გავიგებთ რომ იქ ღარიბები მეტია ვიდრე მდიდრები. ერთი სიტყვით იქ მეტი უბედურობა ხდება, სადაც მეტი სიღარიბეა. ხოლო როდესაც მოძღვარი ხალხს კეთილს რჩევა-დარიგებას არ აკლებს, რასაკვირველია, იგი მით აუმჯობესებს მისს მდგომარეობას და იხსნის მას სულიერად და ხორციელად მრავალგვარი გაჭირვებისა და განსაცდელისაგან. პირველი დროიდანვე კაცობრიობის ცხოვრებისა სიმდიდრე ითვლებოდა ღვთის კურთხევად, რომლითაც ღმერთი ხშირათ აჯილდოვებდა ხოლმე მართალს ხალხს, მაგ. ღმერთმან აკურთხა, სხვათა შორის სიმდიდრითაც მამათ-მთავარნი: აბრაამი, ისაკი და იაკობი, მართალი იობი და სხ.. წმ. ეკლესიაც ახალს ჯვარდაწერილებს უსურვებს, რომ მათი სახლი აღივსოს პურითა, ღვინითა, ზეთითა და ყოველგვარი კეთილითა. თვითონ მაცხოვარმან გვამცნო, რომ ზეციური მაისაგან გამოვითხოვდეთ „არსობის პურსა“, რითაც ცხადად გვიჩვენა, რომ ამ საგანზედ ზრუნვა საჭიროა ღვთის წინაშე. შეუძლია ამის შემდეგ მოძღვარს, რომელიც განათლებით მაღლა სდგას უსწავლელს მუშა ხალხზედ და რომელსაც მეტი ესმის მასზე, გულგრილათ უყურეს მისს მდგომარეობას და არ ასწავლოს მას, რომელიც უაზროთ და უსარგებლოთ მუშაობს და ამნაირათ ტყუილად ჰკარგავს ღვთისაგან ნაჩუქარს ნიჭსა და მადლს? ჩვენ ამით იმას კი არ ვამბობთ, რომ მღვდელმა თვისი პირდაპირი მოვალეობა დაივიწყოს, საეკლესიო მოძღვრება-ქადაგება შეაჩეროს და განსაკუთრებით ხვნა-თესვის ლექციები უკითხოს ხალხს, არა, უკანასკნელის გამო მოძღვარმა თავის პირდაპირ მოვალეობას არავითარი დაბრკოლება არ უნდა მისცეს; და რაც შეეხება საშუალებას, რომლითაც მოძღვარმა ხალხს უნდა გააცნოს სხვადასხვა სასარგებლო სამეურნეო ცნობები, ეს უნდა იყოს უფრო პრაკტიკული. ავიღოთ მაგ., ზოგიერთი სოფლის მღვდლები რიგიანი ადგილ-მამულის მეპატრონენი არიან, რიგიანათაც ესმისთ მეურნეობა: მევენახეობა, მეფუტკრეობა, გაშენებული აქვსთ კარგი ბაღები, ჰყავთ კარგი ჯიშის საქონელი და სხ. და აი ყოველივე ამის ახსნა

განმარტებით და გაცნობით ხალხს დიდს დახმარებას აღმოუჩენენ. ამისთანა მოძღვას, რომელიც თავის პირდაპირ მოვალეობას გარდა, თვითონაც მუშაობს და სხვასაც ასწავლის, დროც არ შეაწყენს თავს და სამაგიეროთ ხალხშიაც მამაშვილურს სიყვარულსა და პატივისცემას დაიმსახურებს, რადგანაც იგი იქნება ერთის მხრით ნამდვილი სულიერი მამა და მოძღვარი ხალხისა და მეორეს მხრით თანამოძმე მისის შრომისა.

გადავხედოთ ისტორიას. მასში ჩვენ ვკითხულობთ, რომ ანტონი დიდმა, მის შემდეგ პახომმა სამონაზნო ცხოვრების დამაარსებლებმა, უმთავრეს და უსაჭიროესს კანონად ლოცვა და შრომა დააწესეს; იგივე დაადგინა წმ. ვასილი დიდმაც, ესე იგი, ლოცვა, მოძღვრება და ხელით შრომა. მეექვსე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ დასავლეთს ევროპაში ბენედიქტე ნურსიელმა დაარსა სამონაზნო ბენედიქტელთა ორდენი; ეს იყო დიდად მშრომელი ორდენი, რომელმაც გააცნო ხალხს მეურნეობა: მებაღეობა, მეფუტკრეობა, პირუტყვების მოშენება და სხ., ამისათვის როდესაც წარსული საუკუნის დასასრულს გაუქმებულ იქნენ დასავლეთში რამოდენიმე მონასტრები, მათ შორის ბენედიქტელთა ორდენი, როგორც მაგალითი შრომისა, სწავლა-განათლებისა და მიწად-მოქმედებისა ხელიუხლებელი დარჩა, ვინაიდგან დიდი პატივი ჰქონდა ხალხში დაესახურებული თვისი შრომითა, მოძღვრებითა და სწავლის გავრცელებითა. ჩვენი უწინდელი ბერების წარსულსაც რომ გადავავლოთ თვალი, ხომ ისინი ლოცვისა და მოძღვრების გარდა, ასეთს მოღვაწეობასაც მისდევდნენ. იგინი მიდიოდნენ უდაბნო დი მივარდნილ ადგილებში, სჩეხდნენ ტყეს, ხნავდნენ მიწას და უდაბნო მწირს ადგილებს მშვენიერ ბაღებად და ბოსტნებად აქცევდნენ. იქ, მათ მიერ დამუშავებულს ადგილებში სახლდებოდა ხალხი და ზეციურს სწავლასთან ერთად, იმათგან მეურნეობასაც სწავლობდა. ახლაც დიდსა და შესანიშნავს მონასტრებში ლოცვას გარდა, მისდევენ მიწის მუშაობასაც მებაღეობას, მეფუტკრეობას და სხ. და ამნაირად სულიერს მოღვაწეობას, ხელით შრომასაც უმატებენ. (ამის მაგალითია ჩვენს ხლოს მდებარე ახალი ათონის მონასტერიც რომელსაც სამაგალითოდ აქვს დაყენებული მეურნეობის საქმეც, და განცვიფრებაში მოჰყავს ყოველი თვისი მნახველი). მოძღვარი არის პირველად ეკლესიის მოსამსახურე, მაგრამ იგია მასთანავე საზოგადოების წევრიც, რომელიც უნდა ცდილობდეს მისი ყოველგვარი წარმატებისათვის. არიან სხვადასხვა სამეურნეო ამხანაგობანი, მრავალგვარი გამოფენანი, გამოდის სხვადასხვა სასარგებლო სამეურნეო წიგნები, არის მრავალგვარი სამეურნეო იარაღები და სხვ. და სწორეთ მათი გაცნობით და ახსნა-დარიგებით დიდს დახმარებას, შემწეობას და სიკეთეს აღმოუჩენს მოძღვარი მუშა ხალხს. უკეთუ მუდამ სახეში გვექნება ჩვენ მაცხოვრის სიტყვები, რომელმაც ბრძანა: „მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და არა მასვით მე, შიშველ ვიყავ და არა შემმოსეთ მე“ (მათ 25, 42—43) და სხ. რასაკვირველია არ შეგვიძლია გულგრილად ვუყუროთ მშიერს, მწყურვილს, შიშველს და არ შევეწიოთ მათ საქმით თუ არა, სიტყვითა და დარიგებით მაინც. განა შეიძლება გულგრილათ გაიაროს ადამიანმა ქოხის ახლო, რომელიც შემოზღუდვილი იქნება ჯაგებითა და ეკლებით და სხვა უნაყოფო მცენარეებით და არ ჩააგონოს სახლის პატრონს მათი უსარგებლობა და უვარგიბა? ხოლო თუ ვინმეა ამაში ვალდებული, მით უმეტეს მოძღვარი, რომელიც სიტყვითა და საქმით მაგალითი უნდა იყოს ხალხისათვის და სასტიკი პასუხი უნდა აგოს მაცხოვარს დიდი განსჯის დღეს თვითოეული მისდამი რწმენებული სულის დაბრკოლებისათვის. მივაქცევ სამღვდელოების ყურადღებას ამ მნიშვნელოვანს საგანს იმ აზრითა და მიზნით, რომ ჩვენი და ჩვენი ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, რათა პასუხის მგებელნი არ შევიქნეთ წინაშე ღვთისა და მოციქულებრივი ჩვენი სამსახური გავასრულოთ არა მარტო სიტყვითა, არამედ საქმითაც „ნუ ვიყვარებით სიტყვითა ხოლო, ნუცა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა“ (კათოლ. იოან. 3, 18). როდესაც უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ უდაბნოში მშიერი ხალხი განაძღო, მაშინ მოციქულებს მან ასე უბრძანა: „თქვენ ეცით მაგათ ჭამადი“—ო (მათ. 14, 16). ეს სიტყვები მაცხოვრისა პირ-

დაპირ გვამცნევს ყველა მოძღვრებს, რათა სიტყვითა და საქმით შევეწიოთ ჩვენს უნცროსს ძმებს და ვასწავლოთ მათ, როგორ უნდა განამრავლონ „პური არსობისა“, ურომლისოდ სულიერი და ზნეობრივი წინსვლა ხალხისა შეუძლებელია. დასასრულ, ნათქვამს უნდა დავუმატოდ, რომ ჩვენ არ უნდა შეგვაჩეროს იმ გერემოებამ, რომ თანამედროვე სამღვდელოება სამეურნეო ცოდნით არ არის საერთოდ შემზადებული, უკეთუ ჩვენ, ხსენებული საგნის შესახებ, ჩვენ მიერ წაკითხულს, ნახულს და საკუთარის გამოცდილებით შეძენილს ცოდნას გარდავცემთ ხალხს, ჯერ-ჯერობით ესეც კარგია. დარწმუნებული ვიყოთ, რომ ვალსაც შევასრულებთ და ნაყოფსაც კეთილს დავინახავთ. ეს საქმე, იმედია თანდათან უკეთ წავა და შემდეგში იქნება ღმერთმაც ინებოს და სამღვდელოება სამეურნეო ცოდნითაც რიგიანად შემზადებული ეყოლოს ხალხს. ამის ნიშნებს იძლევა გაზეთების ახალი ცნობები, რომლითაც ჩვენ ვტყობილობთ, რომ უწმ. სინოდთან არსებულ სამოსწავლო კომიტეტს გადაუწყვეტია სასულიერო სემინარიებში და ეპარქიალურ საწავლებლებში მომავალ სამოსწავლო წლიდან შემოიღოს სასოფლო მეურნეობის სწავლება. იმედია, აგრეთვე, ხალხიც თანდათან სწავლა-განათლებას შეიძენს და თავის მდგომარეობას მატერიალურადაც გაუმჯობესებს, რაც კეთილს გავლენას იქონიებს, უეჭველია, მისს სულიერსა და ზნეობრივს მდგომარეობაზედაც. [1])

მღ. სერგი მაჭარაშვილი.

წაღმა-უკუღმა.

II.

შოთსრობა ჯ. ბუთისოფელისა.

გაგრძელება[2])

იორდანეს ახლა ახალი საოცნებო საგანი დაებადა, უფრო ნაზი და სასიამოვნო ეჩვიც არ ჰქონდა მას, რომ ის ქრისტინასაც უყვარდა ისე, როგორც მას თვითონ უყვარდა ქრისტინა; გარდა ამისა ის იმაშიაც კი იყო დარწმუნებული, რომ სოფლის ღარიბი ხუცესი სიხარულით შეეგებებოდა შვილის ასეთ ბედნიერებას და ამ სახით დაბრკოლება არსაიდან არ იყო. მართალია, ცოლის შერთვას ის არც ასე იოლად აპირობდა, სანამ საქმეს ბეჯითად არ დააკვირდებოდა და რიგიანად არ გაიცნობდა საცოლოს, მაგრამ არც ამ უეცარი შემთხვევით იყო ის უკმაყოფილო. მან ადამიანის გამოცნობა ზედმიწევნით იცოდა და ესეთი ცნობით ის სრულიად კმაყოფილი იყო ქრისტინათი... ამ ტკბილ ოცნებით იორდანემ რამდენჯერმე შეათამაშა მხრები და მოუჩქარა ცხენს. მან მალე გაიარა იმერეთი და შევიდა სამეგრელოში; ცოტა კიდევ და აი, მისი სახლიც გამოჩნდა და რაღაც ბავშური სიამეც იგრძნო... არის ხოლმე ადმმიანი, რომელიც ყოველგვარ ცხოვრების ბერვას ჰყვება; საკუთარ შეხედულობას ამა თუ იმ საგანზე, სულ უბრალო მიზეზისა გამო, ანაცვალებს უმნიშვნელო შემთხვევას, ასეთი ადამიანი ბეჯითი არ არის, მას გული თან და თან ერეცხება და არავითარ კეთილ მისწრაფებას მის გულში ფესვების მოკიდება არ შეუძლია... ასეთ გულ—უნიადაგო ადამიანებს ძალიან მალე ეკარგებათ სიყვარული, როგორც სამშობლო კუთხისა, ისე მთელი სამშობლოსადმი... ასეთს პირებს არ ეკუთვნოდა იორდანე; თუმცა ის ბოვშობიდანვე განშორებული იყო მის სამშობლო სოფელს, მიუხედავად ამისა, ის ბაღლური სიყვარულის გრძნობით იყო გამსჭვალული თავის სამშობლო კუთხისადმი და აღტაცებით იგონებდა იმ კერას, სადაც მან პირველად ამოისუნთქა. მისი მივარდნილი სოფელი მას მთელ ქუთაისს ერჩია და შინ მისვლა ისე უხაროდა, როგორც პატარა შეგირდს საღდგომოდ მშობლებისას დაბრუნება.

იორდანეს და ქრისტინეს, დანიშნულ ხუთშაბათამდის, დღეები წელიწადებათ ეჩვენებოდათ; ისინი დღეში რავდენჯერმე დათვლიდენ აღნიშნულ რიცხვამდე დარჩენილ დღეებს და აი, ის დღეც გათენდა! იორდანე, მზადება ზედმიწევნილი ჰქონდა და მოუთმენლად მოელოდა ძვირფას სტუმრებს. სტუმრებს რომ ცოტა დააგვიანდათ, ის სულ-მოკლეობამ შეიპყრო და ვინ, იცის, რას იგრძნობდა იორდანე, რომ ცოტა კიდევ და სტუმრებიც არ გამოჩენილიყვნენ. იორდანე თვითონ

[1]) რამოდენიმე აზრით ვიხელმძღვანელე რუსულიდან.
ავტორი.

[2]) იხ. შინ. საქ. № 30.

მიეგება სტუმრებს და პირველ მოვალეობად, მისი საყვარელი არსება ჩამოსვა ცხენიდან, პატივისცა მღვდელსაც, ნათესავებმა გაკოცნეს ერთმანეთი და მხიარულად შევიდნენ სახლში. სადილიც ჩინებული გაიმართა. საღამოს სტუმრებ-მასპინძლება ინახულეს თემის დღესასწაულობა, რომელიც გოგო-ბიჭების ცეკვა-თამაშში და ცხენების ჭენებაში გამოიხატებოდა...

მღვდელს ძალიან მოეწონა იორდანეს მოსახლობა. მან ბეზობლებისაგან უფრო დაწვრილებით გაიგო იორდანეს მდგომარეობა და კარგი ქონების პატრონადაც წარმოუდგა. „ღმერთო შენით, ჯვარი დაუწერა ნეტაი ჩემს ქრისტინაზეო,“ რავდენჯერმე გაუელვა მღვდელს გულში სურვილმა. დღეობიდან დაბრუნებულმა ხუცესმა მოისვა გვერდში იორდანეს მამა და მოუყვა თავის თავ-გადასავალს, ისე სიამოვნებით და ნეტარებით, რომ თითქო ეს რამდენიმე წელიწადია, რაც არ უთქვამს ეს მისი სანატრელი მოთხრობაო. იორდანე და ქრისტინამაც, საზოგადო მხიარულობაში, თანდათან გაუმჟღავნეს ერთი-მეორეს მათ-მათი გულის ნადები და ცოლ-ქმრობის უტყუარი აღთქმაც დაუდვეს ერთმანეთს, რაც ძალიან მოკლე ხანში უნდა მომხდარიყო. ღამეც მშვიდობით გაატარეს და მეორე დილას იორდანემ უთხრა თავის მამას მისი სურვილი და სთხოვა პირდაპირ ეთქვა ეს გარემოება ღვდლისათვის. მღვდელმა ღმერთს მადლობა შესწირა, როცა გაიგო, რომ მისი წინაღამინდელი ნატვრა მეორე დღესვე შეუსრულდა. დაიბარა იორდანე დაუძახა ქრისტინასაც, დაიყენა წინ და ორივე მხურვალე გულით აკურთხა. იორდანემ ასმანეთიანი მიულოცა სასძლოს და თან თავისი ოქროს საათიც დაჰკიდა. სადილზე, ჩვეულებისამებრ, პირველად მეფე—დედოფლის სადღეგრძელო დალიეს, სადილიც მადიანად მიირთვეს და შემდეგ, ჩვენი მგზავრები, იორდანეს თანხლებით გაუდგნენ გზასა. მღვდელი რომ შინ მივიდა, პირველად ცოლს მიახარა ეს იშვიათად მოსალოდნელი, უცაბედად მომხდარი ბედნიერი შემთხვევა და დროც გადასწყვიტეს, თუ როდის უნდა მომხდარიყო ახალ-დანიშნულთა ჯვარისწერა.

II

ქ. ქუთაისის დიდი ნაწილი ახალ-გაზდებისა იცნობდა ლიზა ასლანიას ასულს, მაგრამ იცნობდა არა მარტო უსაქმო ახალ-გაზდობა, რომელთა გაცნობას მნიშვნელობა დიდი არაფერი აქვს... მას იცნობდა ეგრეთვე ღირსეული პირები და, ასე გასინჯეთ, ხანდახან კარგ ვინმეების სალაპარაკო საგნადაც ჰხდებოდა ის. ცნობაც არის და ცნობაც მაგრამ ყველა ერთნაირად როდი იცნობდა მას? ზოგი პატიოსან და თავშეკავებულ ადამიანს უწოდებდა, ზოგი ლამაზს, ზოგი დიდ მზითვიანს, ზოგი მიუკარებელს და უზდელს, ზოგი ამაყსაც-კი და სხ. და სხ., მაგრამ საზოგადოდ, ღირსეული პირები ღირსეულად იხსენიებდენ ამ გულ-მარტივ ადამიანს... მართალია, ლიზა ძალიან კარგად გრძნობდა, რომ მას ყურადღებას აქცევდენ, უყვარდათ, აფასებდენ და ზოგიერთები მასთან გამოლაპარაკების და დაახლოვების შემთხვევასაც დაეძებდენ, მაგრამ ამით ის სრულიადაც არ ამაყობდა და რამდენადაც ყმაწვილ-კაცებს მასთან დაახლოვება სწყუროდათ, იმდენად, მათ გულ-საკლავად, ის გაურბოდა ამ უკანასკნელთ. ის ყოველთვის დინჯად დაიარებოდა და თითქო, სულ არაფრად აგდებს ქალაქის ახალ-გაზდობასო, გამოლაპარაკების ღირსადაც არ ხდიდა მათ ლიდა იშვიათად გამოდიოდა ქუჩაში და ისიც, უსათუოდ რამე საქმისთქის; პირდაპირ მიდიოდა საქმეზე და იმავე სახით ბრუნდებოდა შინ, მართალია ძალიან უყვარდა საღამ-საღამოობით ბულვარში გამოსეირნება, მაგრამ აქაც იშვიათად დაიარებოდა, რადგანაც აშკარად ატყობდა, რომ გამვლელ-გამოვლელნი გასაყიდ საქონელივით უყურებდენ მას და ხანდახან, ასე გასინჯეთ, უზრდელი სიტყვებიც ესმოდა დაუპატიჟებელი მოტრფიალეებისაგან, რაც მას სრულიადაც არ მოსწონდა და ამის გამო არიდებდა თავს იმ ერთად-ერთ ადგილსაც, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ ზეფხულობით შეადგენს ქალაქის სულსო. ერთის სიტყვით, ლიზა არ ეკუთვნოდა იმ დედათა სქესის გუნდს, რომელიც მეორე სქესის ყურადღებით ამაყობს კიდეც და რამდენადაც ყურადღება ექცევა, იმდენად კოპწიაობს, იმდენად ჰსურს დაატყვევოს, დაიმონავოს, მთლად ფეხთა მტვრად გაიხადოს მისი ერთგული. ამით ლიზა გამონაკლისს შეადგენდა, რაც ზოგს მოსწონდა, მაგრამ უმეტესი მეტი ნაწილი ასეთი საქციელით ბრაზდებოდა კიდეც... ან რად მოიწონებდენ ლიზას ამგვარ ყოფაქცევას ის ყმაწვილ-კაცები, რომელთაც „ცა ქუდათ არ მიაჩნიათ და დე-

და მიწა ქალამნადა“, რომელნიც მხოლოდ იმიტომ სცხოვრობენ, რომ დღე და ღამე მხოლოდ უზრუნველ მხიარულობაში ატარონ, პარტოდ იცინონ, მუდამ წუთიერ კმაყოფილებაზე იზრუნონ და საქარაფშუტო საქმეებში ჰპოვონ უმთავრესი მიზანი ცხოვრებისა? აბა რად მოეწონებოდათ თავ-მოკავებული ქალიშვილის ყოფაქცევა იმ უზრუნველ-უდარდელ და გულ გამოხრულ-გამოფიტულ ახალ-გაზდებს რომელთათვის არ არსებობს მისი და სხვისი, არ არსებობს წასრული და მომავალი და მხოლოდ აწმყოთი სულდგმულობენ და ისიც, ვინ იცის, როგორ და რითი?... ლიზას მიუკარებელმა ხასიათმა გამოიწვია ამგვარ ყმაწვილების გულის წყრომა. რა ისინი ვერაფერს გახდნენ ლიზასთან ვერავათარი ხერხით და ლონის-ძიებით, უსიამოვნო ხმების დაყრა დაუწყეს. ერთი ამბობდა: „ოხ, რა კაი ქალი-შვილია, გუგულივით მიუკარებელი არ იყოსო“!—„სახიერება რას უკეთებს უზრდელ და გაუხეხავ ადამიანსო.“—ამბობდა მეორე. „გემნაზიაში ნამყოფი მაინც არ იყოს, კიდევ ჰო, სხვა რამე ითქმოდაო,“—ადასტურებდა მესამე. „გემნაზიიდან ბულბულებიც გამოდიან და ჩხიკვებიცაო,“—პასუხს უგებდა სხვა. „ასეა თუ ისე, სახიერების შესაფერად გავარჯიშებულიც რომ იყოს, მეტად ჩინებული ქალი იქნებაო,“—ამტკიცებდა კიდევ სხვა და ამგვარად თითოეული მათგანი თავის საკუთარი აზრისა იყო ლიზას შესახებ და საზოგადოდ-კი „პროსტად დერევენსკადა დევუშკა“ დაარქვეს.

ლიზას სინაზე-სინარნარე, მორცხვობა-სიდინჯე, გონიერების თავდები შუბლის მოყვანილობა, შორს მჭვრეტელი და ღვთიური გამოხედვა, იშვიათი სულის სიმტკიცე—მშვენიერება, მისი გარეგნულ ჩინებულ სილამაზესთან შეერთებული, მართლაც მეტად ძვირფასი იყო და მისი დაფასება შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც ამ ღირსებაების გამოცნობის ნიჭი ჰქონდა და, რა თქმა უნდა, ასეთი ღირსებაები, თუ ესენი, სამაგალითოდ მაინც არის, დაჰყვა დედათა სქესს, თავის დღეშიაც არ არიან ფეხით სათელნი იმ ახალ გაზდებისა და ხასიათით მათი მზგავსი ძველ-გაზდებისაც, რომელთაც ყოველისფერი უნდათ წუთიერი კმაყოფილებისათვის და ამას იქით სპილოს ბუზათაც არ იყიდიან.

კ. წუთისოფელი.

(შემდეგი იქნება).

წერილი გრაფ ლ. ნ. ტოლსტოისა.

პროფესორმა ი. ა. მალინოვსკიმ ლ. ნ. ტოლსტოის გაუგზავნა თავის წიგნი „სისხლის“ ბიუმა და სიკვდილით დასჯა და მიიღო უკანასკნელისაგან შემდეგი წერილი:

იოანიკე ალექსისძეს! გულითად მადლობას გიძღვნი თქვენი წიგნის გამოგზავნისათვის. მე ჯერ კიდევ თლათ არ წამიკითხავს იგი ყურადღებით, მაგრამ რაც წავიკითხე, იქიდგანაც დავინახე მისი დიდი მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოების განთავისუფლებისათვის იმ საშინელი გიჟნობისაგან.... თქვენი წიგნი ერთი უმთავრესი მოქმედთაგანი იქნება ამ განთავისუფლების საქმეში. ასეთი წიგნები, როგორც გუშინ სუმრობითაც არ უთხარი ჩემ ახალგაზდა მეგობარს ვ. შულგავოვს, ისეთ რამეს მოასდენენ, რაც მე შეუძლებელათ მიმაჩნდა: შემარიგებენ ოფიციალურ მეცნიერებას.

განა 50 წლის წინეთ შემეძლო წარმომედგინა, რომ ნასვარი საუკუნის შემდეგ ჩვენ რუსეთში სასრჩობელა ნორმალურ მოვლენად გადიქცეოდა, რომლის სარგებლობის მცდელობას დაიწყებენ ნასწავლები და განათლებულები! მაგრამ როგორც ყოველ ბოროტებას საკეთო თანსდევს სოლმე, ისე ესეც: რომ უკანასკნელი საშინელი შემდეგ რევოლიუციის წლები არ ყოფილიყვნენ, არ იქნებოდა ეს გამწვავებული მრბოლაც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, არ იქნებოდა ის ბნეობრივი, სარწმუნოებრივი და გონიერი საბუთები, რომლებიც ასე თვალსაჩინოდ აჩვენებენ ამ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგობას და უჭკუობას,—რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია. და ამ საბუთებთა შორის თქვენი წიგნი ერთ უპირველეს ადგილს დაიჭერს. იმედი მაქვს, მრწამს, რომ არ ვსცდები ეხლა.

ერთხელ კიდევ გმადლობ ამ წიგნის გამოგ-

ბავნისათვის და უფრო მისი დაწერისათვის, და გულით გისურვებთ საუკეთესო შედეგებას ქვეყანაზე: ასეთივე ნაყოფიერ შრომის განგრძნობას.

პირუთვნელი პატივისცემით და სიყვარულით ლეონ ტოლსტოი.

ნარკვევი.

გაბნეულობა შესანიშნავი კაცების.

ზოგიერთი გამოჩენილი კაცი შესანიშნავ გაბნეულობას იჩენდა ხოლმე. მაგალითად. ცნობილი ედისონი ისე გაიტაცა მუშაობამ იმ დღეს, როცა ჯვარი უნდა დაეწერა, რომ დანიშნულ ვადაზე ჯვარის დასაწერათ წასვლა დაავიწყდა; შესანიშნავი ვექილი გილლი ხშირად ცოლს უწუნებდა სადილს, თურმე სტუმრობაშიდაც ცოლს შენიშვნას აძლევდა ესა და ეს საჭმელი ცუდათ გაგიკეთებიაო, ავიწყდებოდა რომ მისი ცოლი მარტო საკუთარ ოჯახში დარბაისლობა და არა სასტუმროებში და სხვის ოჯახებში; შესანიშნავი მეცნიერი პასტერი სადილის შემდეგ ყურძენს მიირთმევდა და სტოლზედვე სათითოოდ ყურძნის მარცვალს რეცხდა, რომ მავნე ბაცილები არ ჩამყვესო; შემდეგ ისე გაიბნა, რომ ის ნარეცხი თითონვე დალია.

—

სად უფრო მეტ ხანს ცხოვრობს კაცი?

ამის შესახებ ერთ ნემეცურ გაზეთს შეუკრებია საინტერესო სტატისტიკური ცნობები: საშუალოთ თურმე ადამიანი შვეიცაში სძლებს 50 წ; ინგლისში—45 წ., შვეიცარიაში—44., საფრანგეთში—43., ავსტრიაში—39 წ., იტალიაში—38., გერმანიაში—36 წ.—საკვირველია, რომ კაი ქვეყნებში უფრო მოკლე ყოფილა ადამიანის სიცოცხლე!?

—

ოთხფეხთა თავშესაფარი.

ერთ მდიდარ გერცოგს ლონდონის ახლოს დაუარსებია მოხუცებული ცხენებისთვის თავშესაფარი, სადაც უვლიან თურმე დაუძლურებულ ცხენებს წელიწადში ერთხელ განსხვავებულად უვლიან და საზრდოთი მეტ სიამოვნებას აძლევენ თურმე; თავშესაფარში ყოველ წლივ არის თურმე 30—40 ცხენი.

ზოგიერთი ჩვენი მდიდრები ნეტა ადამიანებზე გამოიჩენდეს ამდენ მზრუნველობას და ოთხფეხზე ზრუნვა ჩვენთვის კიდევ შორს არის!!!

—

რამდენ ხანს ცხოვრობს ადამიანი?

აქამდის ყველას ეგონა, რომ ადამიანი 160 წელიწადზე მეტს ვერ გაძლებსო, და ამდენი ხნის სიცოცხლის მაგალითიც ერთი იყო ვიღაც გადზეს გაეძლო 160 წელიწადი და სიკვდილის დრომდე არც ჭკუა გონება მოკლებოდა და არც კბილები. ამ ორი წლის წინათ ცნობილმა პროფესორმა მეჩნიკოვმა თავისი გამოკვლევით დაამტკიცა რომ ადამიანს შეუძლია გასძლოს 200 წელიწადიო, მაგალითს კი ჯერ ვერ ვხედავთ, ყოფილა მხოლოთ ერთი შემთხვევა ტომსკში, სადაც 1882 წელში უნახავსთ კაცი, რომელსაც უთქვამს 200 წლისა ვარო და საბუთებიდანაც აღმოჩენილა, რომ მართლა 200 წლის ყოფილა., მაგრამ ეს საბუთებიც რამდენათ საიმედო იყო ვინ იცის.

—

სოდას ხმარება ოჯახში.

სოდას ბევრნაირად ხმარობენ ექიმობაში და შინაურ ცხოვრებაში, სხვათა შორის სწერენ, რომ სადაც დიდი ოჯახია და ხშირათ ჩაეს სვამენ, საკმაოა ჩაინიკში ნახევარი ჩაის კოვზი სოდა ჩაყარონ, რომ ჩაეს სულიც დიდხანს შერჩეს და ფერიც კარგი გამოჰყვესო.

—

ადამიანის ტვინის წონა.

პროფესორის მარშადის გამოკვლევით ადამიანის ტვინი დაბადებიდან 15—50 წლამდე იწონის: მამაკაცის 1,400 გრამს, დედაკაცის კი 1,275 გრამს. მამაკაცთა შორის მხოლოდ 30% აქვს ტვინი 1,450 გრამზე მეტი და 20% 1,300 გრამზე ნაკლები; დედაკაცებში კი 25% აქვს ტვინი 1,200 გრამზე ნაკლები; სამაგიეროთ 50% ამაზე მეტი და

თითქმის 1,350 გრამზე მეტი. მამაკაცებს ტვინის ზრდა უსრულდებათ 19—20 წლებში, დედაკაცებს კი 12—16 წ., კლებას იწყებს ტვინი ორთავე სქესის ადამიანისა 80 წლის შემდეგ.

ამ გამოკვლევიდან ცხადათ სჩანს, რომ დედაკაცი უფრო მალე მწიფდება და სრულდება, ვინემ მამაკაცი, ხოლო რაც შეეხება ნიჭიერებას ეს ტვინის სიმძიმეზე არ არის და მოკიდებული, და მაგალითებიც არის, რომ ნიჭიერ ადამიანებს ტვინი წონით უფრო მჩატე აღმოაჩდათ ვინემ უნიჭოებს; მაგალითად შესანიშნავი ფილოსოფოსის სპინოზას (ეროვნებით ურიის) ტვინი ძლიერ პატარა და მჩატე აღმოჩდა, აგრეთვე იოანე გუსსის (ჩამომავლობით ჩეხი იყო). ნიჭიერება არის დამოკიდებული.

რაოდენობაზე. არც სქესს და არც წონას მნიშვნელობა არა აქვს.

—

რამდენ ხანს სცოცხლობენ ცხოველები და ფრინველები და თევზები?

ცხოველებში ყველაზე მეტ ხანს სძლებს სპილო—200 წელიწადს, შემდეგ აქლემი—100 წელიწადს., მარტორქა—80 წელიწადს., დანარჩენი ნაკლებს.

თევზებში: გველეშაპი (китъ)—300-400 წლამდე, ქარიყლაპია (щука)—300 წელიწადს;
(карпъ)—150 წელიწადს;
(семга)—100 წელიწადს, დანარჩენები ნაკლებს.

ფრინველებში: არწივი და შავარდენი 200 წელიწადს; ყვავი და გედი—100 წელიწადი, დანარჩენები ნაკლებს.

(ტ.)

—

რახიტზმის მიზეზები.

ინგლისში მეტად გავრცელებულია დიდი ხნიდგან ძვლების ავათმყოფობა, რომელსაც **რახიტიზმი** ჰქვია და ხშირათ ინგლისის ავათმყოფობას ეძახიან. ეს ავანტყოფობა უმეტეს ნაწილათ იმაში გამოიხატება რომ ბავშვებს, უფრო ხშირად დაბალ ხანში, ძვლები უსწორმასწორათ ეზრდებათ და კბილების ამოსვლა უგვიანდებათ, შემდეგ ტანში ავათმყოფობა სხვა და სხვა ფორმებს ღებულობს ბევრგვარ სენს იწვევს. ამ ავათმყოფობით იყო შეპყრობილი ბაირონი და რუსეთის მწერალი ლერმანტოვი, რომლის წინაპარიც ჩამამავლობით ინგლისელი იყო. რახიტიზმი ცხოველებშიდაც ყოფილა თურმე და უმეტესად დატყვევებულ და დამწყვდეულ ცხოველებს უჩდებათ თურმე. ეხლა გამოუკვლევიათ, რომ ამ საშინელი სენის მიზეზი ყოფილა უმოძრაობა და ჰაერის სიცოტავე. ამით აიხსება თურმე რომ იმ ბავშვებს უფრო უჩდება რახიტიზმი, რომელნიც ზამთარში იბადება და მათ ბინაზე ჰაერიც ცოტაა და მოძრაობაც არა აქვს თურმე საკმაო. მიუქცევიათ ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ იაპონიაში ერთი შემთხვევაც არ არის თურმე რახიტიზმის, რაც იმით აიხსნება, რომ იქ პატარა ბავშვები სულ ჰაერზე იზრდებიან და ნიადაგ მოძრაობაში არიან. ამგვარათ საუკეთესო საშვალება რახიტიზმის წინააღმდეგ ყოფილა სუფთა ჰაერი და ხშირი მოძრაობა. კავკასიაშიდაც ვრცელდება თურმე ეს გარემოება მით უმეტეს რომ ჩვენში მეტათ გავრცელებული ჩვეულებაა ბავშვის ხელში აყვანა და ისე ტარება, მაშინაც კი როცა ბავშვი ფეხზე მომაგრებულია.

—

მომავალი დროის ადამიანის გარეგნობა.

ცნობილმა აკადემიკოსმა თარხანოვმა გამოსთქვა ის აზრი, რომ მომავალ დრში ადამიანს თავი უფრო დიდი ექნება. რადგან ტვინი თანდათან განვითარდებაო, ტვინის გავითარება გამოიწვევს ტანის განვითარებას და გადიდებასაო, მხოლოდ ხელი და ფეხი კი დაუმოკლდებაო, რადგან ტეხნიკური გამოგონება სხვა მანქანებისა ფიზიკურ შრომას შეუმცირებს ადამიანსო; თმა კი შესაძლებელია სულ მოისპოს ისე როგორც ხელსა და ფეხზე მოისპოო.

უფრო საყურადღებო და დასაჯერებელია ბ. თარხანოვის აზრი კორსეტის გავლენის შესახებ. კორსეტის უმზგავსო მოკერის გამო, ამბობს იგი, დედაკაცის შიგნეულობა განიცდის მავნებელ გავლენას, განსაკუთრებით ღვიძლი, კუჭი, გული და ჰაჰები, რის გამოც უჭირს ქალს სუნთქვა, სისხლის მოძრაობა და საჭმლის მონელება. აი ამ მიზეზით აიხსნება სხვათაშორის ის სამწუხარო გარემოება, რომ ეხლანდელი ქალები სნეულდებიან, სუსტდებიან და ხმებიანო.

როდის იქნება ის დრო, რომ შეიგნოს საზოგადოებამ და ეს ტანმრთელობის მომსპობი ნივთი აღარ გააკეთოს და მით უმეტეს ლუკმის ფული ამაში არ მისცეს.!

ქვირიდამ ქვიროგამდე.

14 ნოემბერს მართლმადიდებლობის აღმაგენელ საზოგადოების 50 წლის მოღვაწეობას დღესასწაულობენ. ამ დღესასწაულზე დასასწრებათ მიბრძანდებიან ყ-დ სამღვდელონი იმერეთისა გიორგი და გურია-სამეგრელოისა ლეონიდი.

—

როგორც დანამდვილებით ვიცით, მისი მაღალ ყ-დისამღვდელოესობა ექსარსოსი ინოკენტი 15 ნოემბრიდგან პეტერბურგს მიბრძანდება, სადაც, უეჭველია, უწ. სინოდს გააცნობს საქართველოს ეკლესიის დღევანდელ მდგომარეობას.

—

როგორც გადმოგვცემს „სას. გაზ." ნამესტნიკს პროექტი წარუდგენია შესასებ დროებით ვალდებულ გლესთა განთავისუფლებისა კავკასიაში

—

როგორც „ბაკავ. ობოზრენიე" გადმოგვცემს მალე უნდა მოველოდეთ ახალი სამინისტროს დაარსებას, რაც მაღალ სფერებში უკვე გადაწყვეტილ საქმეთ მიაჩნიათ. ამ სამინისტროს სახელად **ტანმრთელობის შემნახველი სამინისტრო** ეწოდება. დღეს ამ სამინისტროს საზოგადო საქმე მეშვიდება პროფესორ რეინის სელმძღვანელობით და ექიმ გამალეის მონაწილეობით. ეს საკითხი დუმის ამ შემოდგომის სესიაშივე უნდა გადაწყდეს.

—

როგორც იმერეთის ეპარქიალურ კანცელარიიდან გვაცნობინებენ, საქართველოს საეკლესიოს უჯამაგირო სამღვდელოების დასაკმაყოფილებლად წელს სინოდს 15 ათასი მანეთი გადაუდებს.

—

როგორც გაზ. „Нов. Рѣчь"-ი გვაცნობინებს, ალაყერდის ეპისკოპოსად სინოდი არს. პიროსს ნიშნავს.



რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჭედლიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა.**

განცხადებანი

„შინ. საქმეების"

რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (**вѣдомости**) წლიური საბლალოჩინო ანგარიშისათვის. ბლანკები ძმობის გამოცემაა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასიბ ლანკებისა რწყვილი 5 კ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—წყილი 4 კ. ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Кутаисъ Правленіе религіозно-просвѣтительнаго братства.

Ольденбургская д. № 5

შინაური საქმეების რედაციაში იყიდება შემდეგი

წიგნაკები

1. ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორ. 10 კ.
2, ქრისტე ღმერთია? . . . 10 კ.
3, სიკვდილი მართლისა . . . 5 კ.
4, წყარო ურწმუნოებისა . . . 2 კ.
5, პატარა ქრისტიანი . . . 2 კ.
6, ათეიზმი და მისი გავლენა ცხოვრებასა და მეცნიერებაზე 10 კ.

Открыта подписка на 1911 годъ

(4-й годъ изданія)

на иллюстрированный научно-популярный журналъ

„Астрономическое Обозрѣніе“.

Рекомендованъ, признанъ заслуживающимъ вниманія и допущенъ въ библіотеки среднихъ учебныхъ заведеній министерствъ: Военнаго, Морскаго, Народнаго Просвѣщенія, Торговли и Промышленности и Главн. Управл. Землеустр. и Землед. (для низшихъ).

Въ журналѣ помѣщаются статьи по всѣмъ отдѣламъ астрономіи, написанныя вполнѣ доступно. Особенное вниманіе удѣляется новинкамъ, какъ астрономіи, такъ и связанныхъ съ нею наукъ: физики, химіи, метеорологіи и физики земнаго шара. Предназначенный для широкаго круга лицъ, онъ будетъ заключать все, что можетъ быть полезно и интересно для всякаго, а въ особенности **любителямъ астрономіи**.

Къ напечатанію приготовленъ рядъ статей: 1) Комета Галлея (ея прошлое, настоящее и будущее), 2) Телеекопъ любителя астрономіи, 3) Разстоянія звѣздъ, 4) Новый способъ наблюденія солнечныхъ пятенъ, 5) Горныя обсерваторіи, 6) Значеніе астрономіи для человѣчества, 7) Роль **Любителей астрономіи** въ наукѣ, 8) Какъ самому устроить обсерваторію, 9) Какъ самому сдѣлать солнечные часы, 10) Астрономія въ древнемъ Китаѣ, и пр. Въ каждомъ номерѣ приводятся отчеты о трудахъ любителей астрономіи и указываются планы работъ для нихъ Кромѣ того сообщаются на три мѣсяца впередъ свѣдѣнія о предстоящихъ небесныхъ явленіяхъ. Журналъ выходитъ 6 разъ въ годъ номерами въ 2 печатныхъ листа каждый, съ рисунками и чертежами,

Цѣна съ пересылкой и доставкой **3 рубля** въ годъ; допускается разсрочка по 1 рублю. Оставшіеся экземпляры журнала за 1909 гг. высилаются по цѣнѣ три рубля каждый.

Плату слѣдуетъ высылать по адресу редакціи:

гор. Измаилъ (Бессар. губ.), Красивая улица д. № 11/2

(3—1) редакторъ издатель ***Н. Пелипенко.***

Электропечатная Типографія. Иванъ Давидовичъ Киладзе въ Кутаисѣ.